თსუ ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) ასარჩევად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით.

ა) ზურაბ გაიპარაშვილი - თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) გიორგი ბერიძე -თსუ ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე, კომისიის წევრი;

გ)თამარ გიორგაძე - თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) იზოლდა კიკნაძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი (კომისიის მდივანი).

თსუ ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი.

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო ფუნქციებში შედის :

ა) საკონკურსო წესით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი ექსპერტის /ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1.კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მისი მონაცემების შესაბამისობას ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) პოზიციის მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა

ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.

4.შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და უახლესი ისტორიის პერიოდის არქივების შემსწავლელი განყოფილების უფროსი ბიბლიოთეკარის (უფროსი სპეციალისტი) პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/ სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5.კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.